საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 202 დამატების № 36

კვირა, 11 ენკენისთვე, 1916 წ.

მ ზ ვ ე რ ა ვ ე ნ ი. ნახატი ს.-ერისთავისა. ამოღებული პრემია „მერანიდან“.

* * *

შენ მთელი ღამე ხმაურობ,
აყრუებ არე-მარესა;
ნეტავ რა გინდა უამბო,
არაგვო, მშობელ მხარესა?
დარბეულს, გაპარტახებულს,
ყოვლითვის მგლოვიარესა!?

—

ხან სასაფლავო მგონია,
ზოგჯერ უდაბნო ეს არე;
მის ბედშავობას რომ ვხედავ,
გული მიკვნესის მგზნებარე!
შენ რაღას ფიქრობ, არაგვო,
მითხარი, გამიზიარე?

ქნარი.

* * *

დაე, მომიკალ გულსა რწმენა,
ფეხ-ქვეშ გასთელე მით ჩემი გრძნობა.
დეე, შემიმუსრე იმედი ზენა,
არა მსურს არვის მე თანაგრძნობა.

ერთხელაც იქნება წმინდა ემბლემა
ბედს გამიღიმებს მრავალ გზით ტანჯულს
და კვლავ იმედსა გულისა ცემა
დამიყვავილებს ფეხ-ქვეშ დაცემულს.

მხოლოდ მაშინა, ვით ცისა ელვა
ქრება, გრგვინვითა გამოწვეული,
დაგიმორჩილებს ვით ადამს ევა
და არ ვიქნები შენგან ძლეული.

დ. გაბრუაშვილი.

უბედური რუსი

(ქარგა ისტორიული *)

— რა ბრძანა დადიანმა?

ცოტა ხნის შემდეგ იკითხა რატიმ.

დადიანი შეკრთა მის ხსენებაზე და ზრდილობიანი, შემკითხველი სახე მიაპყრო მოსაუბრეთ. ეტყობოდა იქ ნათქვამთაგან არაფერი ჰქონდა გაგონილი.

— დადიანი ისევ თავისას ადგა. ბერძენთ უფლის წულს ემხრობა.

დადიანს სახე გაეშალა. თითქო უარესის გამომჟღავნებას მოელოდა და ამ თქმაზე დამცინავმა ღიმილმა გადაჰკრა.

რატის არა უთქვამს-რა. გულში კი გაიფიქრა:

— დადიანს მაინც ის აწუხებს, პირველობა მე შემრჩესო. ბიზანტიის კარზე შესული ყმაა და იქაური უფლის წული, რა თქმა უნდა, მაგის მომხრე იქმნება, მაგის ჭკუაზე ივლის...

— ლიხთ იმიერ ვიყავ ამას წინად —რატის ფიქრთა ჯარი დაუფანტა სავარსამიძემ—და თქვენმა მზემ, ესე მოგახსენებენ, რომ სწორედ ეგ ორი უფლის წული მუტაფრადინ სალდუხის ძის ძე და ბერძენ მეფეთა შთამომავალი უკვე მოწონებულ იქმნენ თამარის სასახლის კარზეო...

— ვინ მოგახსენა?

შეიკვირვა აბულასანმა.

— მეც გავიგონე—ჩაუმატა ფარჯანიანმა—ესე გკადრებენ, თვით კათალიკოსმაც დასტური დასცა და ეხლა მხოლოდ თამარზეა დამოკიდული ამ ორში რომელს აირჩევსო.

— ვინ ამბობს მაგას?

განცვიფრდა რატიც.

— საერისთვოებში დიდებულნი, საფუნდუკოებში მგზავრები, ქალაქად ვაჭარნი და მოხელენი.

— ვინ დაარხია ეგ ხმა?

თითქმის ერთსა და იმავე დროს ცოტა წყრომით იკითხეს რატიმ და აბულასანმა.

— რას დესდევთ! რამდენი მოცლილია!.. ქვეყნის ლაგამს ვინ გასჭედს?..

ამოიღო ხმა დადიანმა.

— მსახურთ უხუცესო!—

სიტყვა შეუბრუნა რატიმ.

— ნურც ეგრე ბრძანებ. ერი ჭორებით არ უნდა იკვებებოდეს. ესეთ საგულისხმო და მძიმე საგანზე მაინც მას სინამდვილე უნდა ესმოდეს. ჩვენი ქვეყანა ეხლა დიდია და ვრცელი. ნეტარმა დავითმა და მისმა მომყოლებმა სამხრეთით მაინც ჩვენი საზღვარი ძველ „ქართუს“ სამფლობელოში გადაიტანა... ვინ იცის შეიძლება მართლაც უცხოვრია ჩვენი მოდგმის ხალხს იმ ქვეყნებში... მემკვიდრეობით ჩვენ გვერგება და იქ კი ურჯულონი გაბატონებულან... დღეს-დღეობით ჩვენი სამეფოს ამ ვრცელ საზღვრებში მილეთის ხალხი ცხოვრობს. ათასი რამ არის მოსალოდნელი... შორი შორსა ვართ ერთი მეორეზე... ძლივს შევკოწიწდით დღევანდელ ქართველთ მო-

*) იხ. სურათ. დამატება № 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ტიპები

ვერის-ხეველები.

დგმისანი და ეხლა ჩვენში ყოველი ყალბად გავრცელებული ამბავი, ყოველი ცრუთ შეთხზული ცნობა ვინ იცის რა ზიანს მოგვიტანს.. რომ დაიჯეროს რომელიმე კუთხემ, ვთქვათ, ბერძნის უფლის წულის მოწონება, შეიძლება ისიც გაავრცელონ გამეფდა კიდეცაო, როგორი იქნება? არ შეიძლება ჭ ნეთმა და კაპადოკიამ ადვილად იწამოს ეს ამბავი?—ხომ ხიფათი აგვიჩნდა. მოგვინდება ხმლით ხელში დავუმტკიცოთ, რომ ბერძნის უფლის წული არ არის ჩვენი მეფე... ან კიდევ სალდუხის ძის ძესი... მუტაფრადინისა..

აქ ერთი გადახედა გუზანს და ისევ ცხარედ განაგრძო რატიმ.

— ხომ არ ივარგებს!—არა, ვარდანო, მაგას ნუ ბრძანებ ქვეყნის ლაგამს ვინ გასჭედსო!.. გავჭედეთ კიდეც და მზე-თამარის დროშა უნდა ვეცადნეთ, რომ მტკიცედ გვეპყრას ხელს...

უცბად შეჩერდა რატი. ყველანი ხმა-გაკმენდით და მოკრძალებით უსმენდნენ. თვითონ კი ეტყობოდა კიდევ რაღაც უნდა ეთქვა უფრო ცხარე, უფრო უკმეხი, მაგრამ თავი შეიკავა და უცებ მოსჭრა.

დადიანი არ აჩქარდა საპასუხოდ. ყველა გრძნობდა კი, რომ განთქმული „მოუბარი“ უპასუხოდ არ დატოვებდა ქართლის ბატონს.

ვარდანმა პაწია, კოკობ, ცოტა ზევით აპრეზილ ულვაშებზე თვისი გრძელი, ნაკვთიერი თითები შეათამაშა და შემდეგ დაიწყო. სახეზე სათნო ღიმილი უთამაშებდა და საუბრის დროს თითქო არავის არ უყურებდა, ისე შესვენებით წარმოსთქვამდა:

— მომიტეოს ერისთავთ-ერისთავმა, მაგრამ ცოტა მძიმე საუბარი მოუვიდა. ეგეთი ფრიად საგულისხმო სიტყვები, მე მგონი, უფრო სხვა დროს შეჰფერის. არ უნდა დაეჭირვა ამ ჟამად გახსენება იმ გარემოებისა თუ სად გვიცხოვრია ოდესღაც ქართველებს, სად იყო ჩვენი კერა, საით მივისწრაფვით და ან ამ ჟამად ჩვენი სამეფოს სამზღვარი რაზომ ვრცელია. მომიტეოს ქართლის ბატონმა და მწიგნობრობა, წარსულ დღეთა მატიანენი წაკითხული გვაქვს...

— მაგას ვინ ამბობს...—ჩაერია ეხლა აბულასანის ძე სამცხელი გუზანიც. თითქო შეატყო, რომ წყენის კვალი უფრო ღრმავდებოდა მოსაუბრეთ შორის.—შენი სასახლე და თვით შენ განთქმული ხარ მწიგნობრობით...

მაგრამ დადიანმა ყური არ უგდო. იგი წამოდგა და გაიმართა მთელი თვისი მოხდენილის, მოქნილის წერწეტის ტანით. ერთი ხელი მარმარილოს სვეტს მიაბჯინა და თითქო დაცინვით ჩაიღიმილა:

— თვით ჩემმა პირმშომ, პაწია შერგილ დადიანმაც კი იცის სად ვსახლობვართ, ვინა ვართ და რა არის ჩვენი სანატრიონი...

რატი შეინძრა სავარძელზე. სავარსამიძეს შუბლზე კოპები დაეჯდა. აბულასანმა მშვენიერი, შეწითლებული ატამი აიღო ხელში და კოპწია, სადაფის ტარიან დანით თლა დაუწყო. გუზანიც ეტყობოდა ვერ იყო გუნებაზე, არ იცოდა როგორ ჩაექრო უსიამოვნების მოსიქსიქე ალის ფერები. მხოლოდ ფარჯანიანი იჯდა დინჯად და ეტყობოდა დადიანის საამურ ხმას სიტკბოებით ისმენდა. დადიანი კი განაგრძობდა:

— აქ საკითხი სულ მარტივი იყო და არა ეგზომ გასართულებელი... ხმა მიმოქრის საქართვიელოში... ცუდია ეს ხმები, ყალბია ეს ხმები... სრული სიმართლეა... არ უნდა ვრცელდებოდეს... მაგრამ მე გეკითხებით: შეიძლება უმაგისობა?.. თამარ-მშვენიერის ბედი არამც თუ მარტო ჩვენ შეგვჭირს, ჩვენ დარბაისლებს, დიდებულებს. მთელი საქართველო, მთელი ერი გულის ფანცქალით მოელოდება ამ ამბის საკეთილოდ გადაჭრასა... მანამ კი, სანამ სინამდვილეს ხორცი არ შეესხამს.. ხმები მიმოქრის?.. რა ვუყოთ მერე... ეს ბუნებითია... და ხიფათი კი?.. დალოცვილო!—

აქ უკვე პირში შეხედა რატის.

— ხიფათი... შეუძლებელია... თამარი ვინმე თავადის ასული ხომ არ არის, რომ ქვეყანამ ვერ გაიგოს თუ ვისთან მოინება შეუღლება?.. აბა ვინ დამალავს? როგორ დაიმალება... ირწმუნეთ: ჩემი მთელი ცის ქვეშეთი იუწყებს მის ამბავსა...

ცოტა გაეცინა. ცოტა შეჩერდა. უნდოდა განეგრძო.

რატიმ დაასწრო:

— მე ეგ კი არ მომიხსენებია, დადიანო...

აღარც იმას დასცალდა. ჩარდახზე გამოვიდა უცხო სანახავი მანდილოსანი.

მაღალი ტანის იყო. ბეჭებში გაშლილი. მკერდ-შემკვრიეებული, მორკალებული. წელი გამონაკვთული, თითქო მართლაცდა ბეჭედში გაეტევაო. ზედ ძვირფასად ანაქარგი სარტყელი ჰქონდა შემორტყმული და თითქო დაუდევრად გამონასკული, კაბა თითქო ოდნავ ზევით იყო შემხტარი და კაბის ქვემო მეწამული ფერის, სალუქი აბრეშუმის შალვარი მოსჩანდა ტოტებ-მოქარგული, კოჭებთან შეკრული. ფეხებზე კი მარგალიტით მოოქვილი მსუბუქი ქოშები ეცვა. ოთხი, მაყვალივით ნაწნავი ბეჭებსა და მკერდზე გადმოშვებული კოჭებამდინა სცემდა, გულისპირი კარგა, დაბალზე იყო მოჭრილი და მოღერებულ თეთრ ყელს ალმასის, უცხო ნაქნარობის ჯვარი, ობოლ-მარგალიტის აცმაზე მიმაგრებული, უმკობდა. ფართო, ვნებათ აღმძვრელი თვალები გრძელ წამწამებში ლურჯად იჩრდილებოდა. წარბები გაზიდული და ოდნავ გაპობილი წითლად მოხასხასე ბაგე. ყველა ეს შეადგენდა მის საკვირველ სხეულის შვენებას. ამ სხეულს კი ამ ჟამად ზემოდან ფართო და გრძელი, გამჭვირვალე, უნაზესი ლეჩაქი ჰქონდა თავიდან ფეხებამდე გადმოშვებული. მხოლოდ ზედ თავზე ლეჩაქის დასამაგრებლად თვალ-მარგალიტიანი ოქროს სალტე-სავით რკალი ჰქონდა ჩამოცმული.

იგი მომღიმარი და მხიარული გამოვიდა ჩარდახზე.

ყველანი წამოიშალნენ. აბულასანის მეუღლე იყო.

სამოცდა ათი წლის მოხუცს ვერ მოეთმინა, კათალიკოზისათვის ნება გამოეთხოვნა და მას შემდეგ შეერთო, ორჯერ დაქვრივებულს, ეს მესამე, ახალგაზრდა ცოლი.

იმას გარდა, რომ შვენებით სრული იყო ტურფა ასული, მისი შერთვა დიდ თამარსაც უნათესავებდა. ქალი ოსთ ბატონების შთამომავალი იყო და ბაგრატიონთა სისხლისაც.

ასე რომ ბევრნი აბულასანის ცოლს თვით თამარსაც ადარებდნენ: მოჰგავს იერითო. მხოლოდ დაკვირვებულნი იტყოდნენ: ეს უფრო მიწიერი სილამაზეა და თამარს... ციურიც ახლავსო.

ამიტომ იყო აბულასანის კარზე ბოლო ხანებში, კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა დიდებულთაგანი ტრიალებდა, მაგრამ თვით მოხუცი, მეუფე და პატრონი მშვენიერების, ყველას სათნოდ და გულ-დამშვიდებული უხვდებოდა. დიდად სწამდა კდემა-მოსილება მეუღლისა და არ უშლიდა ახალგაზრდებს „შორით ტრფიალს, შორით დაგვას“.

თავი ექებოდა.

შორიდან მოუხდა მანდილოსანს სტუმრებთან მოახლოვება. მაგრამ არ შემკრთალა მისი ახალგაზდა სხეული, არ დამკრთალა მისი ჯერ კიდევ გამოუცდელი თვალები. მშვენივით იერიანი, მტრედივით მოგოგმანე წარმოემართა სტუმრებისკენ.

ყველაზე პირველად დადიანი მიეგება.

ეს ორმოცი წლის კაცი ისეთი მარდი მახვრა-მოხვრის იყო, თითქო თვრამეტი წლის ჭაბუკიაო.

მაინც ერთი ჭალარა არ ჰქონდა გარეული, ერთი ნაოჭი სახეზე.

წინააღმდეგ მაშინდელი ჩვეულებისა თმას არ იყენებდა. ასე რომ ლიხთიმერთა თავსახური, ფაფანაკი ბეჭებისკენ სირმის ზონრებით ჰქონდა გადაგდებული და თვით მუდამ თავშიშველი იყო.

— თავი მაგარი მაქვსო.—იტყოდა ხოლმე, როცა მისიანები სიცხეში ან ზამთარში შესთხოვდნენ თავის მობურვას.

მხოლოდ ომში სჭირდებოდა მუზარადისა ან წვრილ-თვალას თავზე ჩამოცმა, მაგრამ იქაც ხშირად არ იყენებდა. საშინელი სწრაფი იყო, მარდი და ხმალს ვერ მიუწვდენდნენ, ოროლს შუბს და ისარს კი მისი ნაცრის ფერი, მომცრო თვალებით შორიდანაც კარგად არჩევდა.

პირი-სახე ცოტა ფერ-მკრთალი ჰქონდა, გაპარსული ლოყები სამსე. და ამიტომაც შორიდან მაინც სულ ჭაბუკს გაგონებდათ.

მხოლოდ საუბრის და თათბირის დროს იყო დარბაისელი. ომში და გასაჭირში ვაჟკაცი გაბედული და შემმართებელი.

ეს აკვირვებდა ყველას.

ეს აკვირვებდა ეხლაც რატი სურამელსა.

— რათ არ მომწონს ეს დადიანი?.. —ფიქრობდა რატი—რა დაუშავებია?.. ჩემთვის? მეგობრობის გარდა არაფერი. მეფისთვის? სამშობლოსთვის? იქაც ერთგულებისა და თავდადების მეტი არაფერი. მაშ რა აქვს ამ კაცს უსიამოვნო? საქციელი? სიდარბაისლე? ჭკუა? გონება?.. საქციელი აქვს. ზრ-

კუმურდოს დიდებული ტაძარი (ჯავახეთში).

დილია ზედ-მიწევნით, მაგრამ მოუ-სვენარია, ვერცხლის წყალია ნამდვი-ლი. ჰა, ჰა!—

ჩაეცინა გულში. გაახსენდა.

როგორ ბრძანებს ხოლმე დედა ჩი-მი?..

დედის გახსენებაზე ეს ხან დაზმუ-ლი დიდებული მოკრძალებულ გუნე-ბაზე დადგა. თვალწინ წარმოუდგა ჭარმაგი, ახოვანი მანდილოსანი. გან-თქმული ხვაშაქი ცოქალი. სახელმწი-ფო მოღვაწე ქალი, თამარის მესაი-დუმლე. გაიხსენა მისი გამყივანი ხმა, ბრძანებლობითი, შეუვალი, მტკიცე და ს რწმუნო. მისი სახე მაღალ-გო-ნიერებით და ძლიერებით მოსილი. გაიხსენა და მიიხედ-მოიხედა. თვალში ისევ დადიანი მოხვდა. უცბად დაუ-ბრუნდა ნახსოვრობა:

— ჰო, როგორა ბრძანებს? „ნუ ენდობი კაცსა პირხმელსა და მრავ-ლად-მეტყველსაო“. ეგ არის სწორედ. ვარდანიც ეგეთია. ლოყებ-სამსეა, მა-გრამ საერთოდ პირ-ხმელი დარძახეა, ტან-წერწეტიც არის და... მრავლად მეტყველი ოო, რა მოუბარია? „გველ-ა ხვრელით ამოიყვანს“.. მერე რა?.. რომ არაფრით არ გამოუმჟღავნებია მიი ცუდი თვისებანი? თუ მეც სი-ხარბით მომდის... ისიც დიდი ერის-თავია და მეც... მაგრამ მე მხოლოდ ქართლის ბატონი ვარ და ეგ კი არის პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ იქით ნიკოფსამდის უკილობლად მქო-ნებელი, როგორც უწევია კიდეც და განაგებს ყოვლსა სვანეთისა და აფხა-ზეთსა, საეგროსა, გურიასა, სამოქალა-ქოსა, რაჭასა, თაკვერს და არგვეთს. დიდი გავლენა აქვს, დიდი ჰუბუტი მის ქვეყნაში.. ეხლა კიდევ რაც თა-მარის მოწინააღმდეგე ყუთლუ-არსლა-ნის დარი დაეცა, ახლ დ დახიშნულე-ბში მაგას უბოძეს მსახურთ-უხუცესო-ბა... ოო, მძლავრი კაცია.. პატარა მიფეა ნამდვილათ... მერე ესეთ გან-ლაღებულ დიდ თავადს ვინ იცის რა ზვიადი ზრახვები უტრიალებენ გონებაში... ააჰ!—

კინაღამ წამოიყვირა რატიმ და ნე-ლად თვალებზედ ხელი მოისვა.

— ეს რა მომივიდა აზრათაო!

ქართლელს შეეშინდა ამ უფსკრულ-ში გადახედვისა.

გამოერკვა მისალმება გათავებული-ყო. „საყველპურო“ მასლათაში იყვნენ გართულნი.

უეცრად გუზანი შეეკითხა მამას.

— ზანქანიდან კი არაფერი ამბა-ვი მოგვსვლია?

— აბა რა დროს ამბავია, შვილო? ჯერ კიდევ პაემანი არ უთავდება, ორი კვირის ვადა აქვს.

ზანქანის ხსენებაზე ყური ცქვიტა აბულ-ასანის მეუღლემ.

დადიანს ესაუბრებოდა. ზრდილო-ბიანი პასუხი უცბათ მოუჭრა და გუ-ზანს შეეკითხა:

— მგონი ზანქანზე ბრძანე, ბატო-ნო?

გუზანმა დაუმოწმა.

ქალი შეწრფა ცოტა წამოწითლდა. თვალები მორცხვად ძირს დახარა. მაყურებელთ მოეწონათ. ელოდებოდ-ნენ. აღარ დააყოვნა:

— ჩემი სირცხვილი!.. ბატონო—მი-მართა აბულასანს ფეხზე წამომდგარმა—რა მომივიდა!.. იმისათვის გეახელ-მე პირადათ მეხარებინა, რომ ზანქანი ჩამოსულა...

— როგორ თუ ჩამოსულა?

თითქმის ყველამ ერთად შეიკვირვა.

— დიაღ, გლხებიათ და ძალიან შიკრიკი ეფრინა კიდეც: დიდებულ ამირს მოახსენე, რომ რუსთ უფლის-წული ჩამოვიყვანე კიდეცაო. ნამგზავ-რზე ვასვენებ და არ გავალს ერთი ჟამი, მასთან ერთად გიახლებითო.

— საკვირველია!

— ხომ არ გადაფრინდა ის კაცი?!

— საზღაპრო ამბავია!

იკვირვებდნენ დიდებულები. აბულ-ასანმა კი დაადასტურა:

— ყოჩაღი კაცია ჩვენი ზანქანი, ეტყობა მარჯვედ გარჯილა. დაუჩქა-რებია. მოკლე გზით, გორით გადმო-იყვანდა...

— იქით ცუდი გზები გახლავთ ამირა.—

შეჰკადრა ფარჯანიანმა.

—- ეხლა კარგი ამინდები დგას...—აღარ დაათავა რატიმ.

— მივლია საყივჩაყოში.—

გაიხსენა ზვიადმა.

— თუ მარჯვედ მოიქეც ხუთ დღეს ჩამოხვალ. . თქვენი ქვეყანა უნდა გად-მოიაროს, ქალბატონო... ოსეთის სამ-თავრო...

— ასეა თუ ისე ძალიან მარჯვეთ მოქცეულა...—

დაუმატა დადიანმაც.

— მე კი რა მომივიდ ?—

კვლავ იოცებდა აბულ-ასანის მეუ-ღლე.

—- შიკრიკი არ გამოვუშვი, მე თვით ვახარებ-მეთქი...

სიყვარულით გაუღიმა აბულასანმა და ტახტიდან ფეხები ძირს ჩამოუშვა,

— ნუ გეშინია სამახარობლო არ დაგიკარგავს...

ქალი გაწითლებული, თავ-დახრილი იდგა საქციელ-წახდარ ბავშვივით.

— მართლა! შიკრიკი ხომ დაასა-ჩუქრე?

— დიაღ, ბატონო!

ძლივ გასაგონად წარმოსთქვა ქალ-მა.

— ჰო და ეხლა რიღასი გრცხვენია?,

სიყვარულით აკანკალებულ ხმით მიუალერსა აბულასანმა.



დიდებულ ილიას სახლი ყვარელში
ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხელში.

მგოსნის ოცნება. ნახატი ს.-ერისთავისა.
ამოღებულია პრემია „მერანიდან“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს მსახური შემოიჭრა:

— ზანქანი გეახლათ და ითხოვს ნებართვას, რომ რუსის უფლისწული და მისი მხლებელი თქვენს წინაშე წარსდგეს.

ყველა შეშმაშურდა. უცხო მოლოდინმა მოიპყრო ყველანი.

მხოლოდ აბულასანი, როგორც გამობრძმედილი ხელისუფალი არ აჩქარდა, არც ტახტიდან წამოდგა და ისე დარბაისლურად—სათნოდ უბრძანა:

— მობრძანდნენ!

შემოვიდნენ.

წინ სიჩქარით და თავის კვრით მოდიოდა ზანქანი.

მის შემდეგ თავ-ჩაქინდრული, ჯიუტის ნაბიჯით მოდიოდა უფლისწული იურიჲ და მის შორი ახლო მოჰყვებოდა ვაჟკაცურის, მტკიცე მიხვრა-მოხვრით კუზმა.

ჩარდახის შუაზე შეჩერდნენ.

სხაპა-სხუპით დაიწყო ზანქანმა:

— აჰა, ბატონო და მწყალობელო! დიდებულნო! წარმომიდგენია თქვენ თვალთა წინაშე რუსეთის დიდი მთავრის ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი, უფლისწული იურიჲ... ეს გახლავთ თავადი რუსეთისა კუზმა, ლალა და გამზრდელი მაგისი.

კუზმამ თავი დახარა. ქართული არ ესმოდა, მაგრამ ზანქანის ხელის ფენაზე ღა მისი სახელის ხსენებაზე მიხვდა რაზეაც იყო ლაპარაკი. მხოლოდ იურიჲ ისევ ისე თავ-ჩაქინდრული იყო.

ზანქანი კი განაგრძობდა:

— ვიჩქაროდი, ბატონებო, დიდათ ვიჩქაროდი... არ ვიცოდი განა რა დიდი საქმე მქონდა დავალემული?— რა სამძიმო და თან რა საშურო? დღე და ღამე გავასწორე იქით და აქეთ. არც ესენი მოვასვენე, არც ჩემი თავი და აი, მადლობა ღმერთს, ვალამდი მოვაღწიე საქართველოს...

— ყოჩაღად მოქცეულხარ, ჩემო ზანქან, ყოჩაღათ... არ დავივიწყებთ შენს გარჯილობას და თუ მაგ ვაჟს ბედი აქვს და დიდმა თამარმა და ერთობ დარბაზის ერმაც მოიწონა, მაშინ ხომ დასაჩუქრებას ველარც აუხვალ.

— თქვენი თავი ნუ მომეშალოს...

— სთხოვე მაგ ყმაწვილს ახლოს მობრძანდეს, აქ ჩამოჯდეს.

ზანქანმა გადაუთარგმნა.

იურიჲმ თავი აიღო. მისი თვალები აბულასანის მეუღლის თვალებს შოხვდა.

უეცრად რაღაც მოუვიდა. ეგონა თუ თავ-ბრუ დაეხვა. მაგრამ დაბარბაცებისაგან თავი შეიკავა.

— არა! ეს სვეტლანა არ არის!—

გადასწყვიტა გულში და მტკიცე ნაბიჯით გასწია იქით, საითაც მიუთითეს.

დადიანს არ გამოეპარა ეს ერთი „გაქანება“ იურიჲსა, მაგრამ არც ის გამოეპარა, რომ აბულასანის მეუღლეს ფერი სრულიად მიჰხდოდა და დიდრონი, შავი თვალები თითქო უნებლიეთ იურიჲს შესცქეროდნენ.

კუზმაც შორი-ახლოს დასვეს.

იმან დინჯათ, მაგრამ მაინც დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა იქ მყოფნი, ჩარდახის მორთულობა, შორეული სანახაობაც და ეტყობოდა კარგ გუნებაზე დადგა.

საზოგადოდ ხომ რაც საქართველოს მთის კალთებს ჩამოსცილდნენ და გორს მოაღწიეს თანდათან გულში სიამე ეფინებოდა. იპყრობდა საქართველოს წარმტაცი ბუნება, ხიბლავდა გზაში შეხვედრილი ლაღი და ჰაეროვანი ხალხი. პატივისცემით იმსჭვალებოდა უცხოთ ნაგებ ტაძრებსა, ციხე-ბურჯებსა და კორდებზე შეფენილ სრა-სასახლეთა და სოფელთა ნაკეთობით.

იმასაც პირველ ხანებში, ტრიალ შინდვრის ნაჩვევს, სულს უხუთავდა კავკასიის ქედი, ხეობათა ვიწროები, მაგრამ კოხტად გაშლილმა და შეფერადებულმა ქვეყანამ იურიჲც და ესეც გამოაკეთეს და გამოახალისეს.

განსვავება ერთი იყო ამ ორ-შუა.

იურიჲ, როგორც ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ვერ ემხრობოდა სიახლის განცდას და მაინც გულ-ჩათხრობილი იყო. კუზმა კი, გამოცდილი და გადანახული თავიანთი სარგებლობის თვალით ზომავდა ყოველივეს და მისი გული და ზრახვა უფრო ადვილად და უფრო ზეგნებით ეთვისებოდა გარემოებას.

დამხვდურებიც ათვალიერებდნენ მოსულებს.

კუზმა ყველას ერთბაშ მოეწონა: შესახედი ვაჟკაცია თეთრ ულვაშებ ჩამოყრილი, გაშლილის სახისა.

იურიჲზე კი ერთ გვარი არ იყო აზრი.

განსაკუთრებით რატი დარჩა უკმაყოფილო. მან შეამჩნია იურიჲს ლამაზი, მაგრამ ამღვრეული თვალები და გულს რეჩხი უყო.

დადიანმა კი გუზანს ჩასჩურჩულა:

— სულ ბავშვი ყოფილაო!

გუზანი უცებ დაეთანხმა. მხოლოდ დაკვირვების შემდეგ მიხვდა ამ სიტყვების ფარულ აზრს: „ადვილია მაგის ხელში ჩაგდებაო“. გულში გაეცინა.—„რა მიხეედრილი კაცია ეს დადიანიო“,—გაიფიქრა.

— მგზავრობამ არ დაგლალათ ბატონიშვილო?

შეეკითხა აბულასანი.

ზანქანმა გადათარგმნა.

იურიჲმ გაიღიმა. უპასუხა მოკლეთ.

ვარდანმა აბულასანის მეუღლეს გადახედა. ჰაბუკის ხმა მართლა საუცხოვო ბგერის იყო.

შეამჩნია, რომ ქალის ხელი ათრთოლდა და თითქო უნდა გადააფუჩეჩოსო, სარტყელი ვითომდა დაისწორა.

— მსახურთ-უხუცესო!

დარბაისლურად დაიწყო აბულასანმა მაგრამ დადიანმა შეამჩნია, რომ ეს უკვე საქმიანი კილო იყო და ფეხზე წამოდგა.

წამოდგა აბულ-ასანიც.

— ჩვენს პირიმზეს, დიდებულს თამარს მოახსენე, რომ რუსთა მთავრის შვილი ეახლა და როდესაც ინებებს, დრო დაუნიშნოს მისი ხილვისა.

დადიანმა თავი დახარა.

— ჩემი დარიგება არ გინდა, ვარდანო... უკვე მეგობრულად უთხრა აბულ-ასანმა.—ეს შენი ვალია დააჩქარო წარდგენა... მე არ ვისწრაფვი მსჯავრის დადებას, მაგრამ ეტყობა კი უცხო რამ ჰაბუკია... უნდა ეცადო, რომ... აქ განზე გაიყვანა ამირამ დადიანი—შენცა და სხვა წარჩინებულთაც დაარწმუნოთ მეფე ჩვენზე ნუღა გაგვიჯიუტდება...

დადიანმა თავი დაუქნია—ყოველივეს მივხვდიო და საჩქაროდ ყველა იქ მყოფთ გამოესალმა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ის და მისი მხლებლები სიჩქარით მიაგელვებდენ სწრაფ და ფიცხ იმერულ მერნებს ისანის სასახლისაკენ...

შალვა დადიანი.

(შემდეგი იქნება)

ქირავდება ოთახი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**